

განხილულია

დამტკიცებულია

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეას“

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეას“

ადმინისტრაციული საბჭოს მიერ

დირექტორის ბრძანებით №18 24.04.2012წ.

ოქმი № 1 19.04.2012 წ.

დირექტორი

ვ. კიკნაძე

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური პროგრამის) განხორციელებასთან დაკავშირებით რედაქტირებულია:

ადმინისტრაციული საბჭოს ოქმი №3 17.08.2015წ.

დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით № 34 17.08.2015წ.

დირექტორი

ვ. კიკნაძე

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეას“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, განხორციელების შეფასების წესი

1. საზოგადოებრივი კოლეჯი “პანაცეას” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი განსაზღვრავს პროფესიული პროგრამების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური პროგრამების) შეფასების განხორციელების პროცედურებს და შეფასების შედეგებს;
2. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურები ხორციელდება საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელის (დირექტორის მოადგილის) მიერ, შეფასების შედეგები წარედგინება კოლეჯის დირექტორს. შეფასების შედეგები განიხილება ადმინისტრაციულ საბჭოზე, რომლის შედეგად მიიღება გადაწყვეტილება და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მტკიცდება მოქმედებათა კონკრეტული გეგმა;
3. ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი პროგრამების შეფასების პროცესში განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი პროგრამა ან სილაბუსი/ მოდული სტანდარტს; განხილვის შედეგად იწერება შეფასების დასკვნა. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამის შემდგომი სრულყოფის მიზნით, უნდა მიეთითოს, რომელი კრიტერიუმები ვერ დააკმაყოფილა პროგრამამ ან სილაბუსმა / მოდულმა;
4. საჭიროების შემთხვევაში პროგრამაში არსებული ხარვეზის გამოსწორების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი.
5. სილაბუსებში, მოდულებში მითითებული ლიტერატურა უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის ძირითად მასალას, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს კოლეჯის ბიბლიოთეკაში ნაბეჭდი ან ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის სახით;

6. ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი აფასებს, იძლევა თუ არა პროგრამაში მოცემული სწავლების მეთოდები დასახული ამოცანების გადაჭრის საშუალებას. თუ პროგრამა მიზნად ისახავს პრაქტიკული ჩვევების შექმნას/გამყარებას, შესაბამისად პროგრამაში გამოყენებული უნდა იყოს მეთოდები, რომლებიც პროფესიულ სტუდენტს საშუალებას მისცემს პრაქტიკულად შეასრულოს ესა თუ ის სამუშაო;
7. ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი აფასებს, პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სასწავლო, ტექნიკური საშუალებებისა და დამხმარე თვალსაჩინოებების არსებობის საკითხს, რაც სწავლების მეთოდების შესაბამისი უნდა იყოს;
8. ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი განიხილავს, რამდენად შეესაბამება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდები და სისტემა დადგენილ წესს, არის თუ არა შეფასების სისტემა მრავალკომპონენტური. რამდენად დასაბუთებულადაა გადანაწილებული ქულები კომპონენტებს შორის. ამასთან უნდა განისაზღვროს, იძლევა თუ არა შეფასების მეთოდი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შემოწმების საშუალებას;
9. ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი აფასებს საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია თუ არა მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებით განმტკიცების შესაძლებლობები;
10. ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი განსაზღვრავს რამდენად რეალურია პროგრამის ხანგრძლივობა, შეესაბამება თუ არა ლექციები, პრაქტიკული მუშაობა და სხვა, პროგრამით გათვალისწინებული მასალის მოცულობას.
11. უნდა განისაზღვროს, დაკავებულია თუ არა პროგრამის განხორციელებაში სათანადო მომზადების და კვალიფიკაციის პერსონალი, საკმარისია თუ არა მათი რაოდენობა. ამასთან, უნდა შეფასდეს, პროფესიული მასწავლებლების, პროგრამის განმხორციელებელი პირების კვალიფიკაციის შესაბამისობა სტანდარტების მოთხოვნებთან;
12. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება ხდება სტუდენტებისა და პერსონალის - პროგრამის განმხორციელებელი პირების, პროფესიული მასწავლებლების, ასევე დამსაქმებლის, კურსდამთავრებულების გამოკითხვით, სათანადო შეფასების კითხვარების საშუალებით;
13. უნდა შემოწმდეს და განისაზღვროს პროფესიული სტუდენტისათვის წინასწარ ცნობილია თუ არა ცოდნის შეფასების მეთოდები და იცნობს თუ არა შეფასების მოქმედ სისტემას. რამდენადაა მისთვის ცნობილი არადაამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები.
14. ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი ხელსუწყობს პროგრამის განმხორციელებელი პირების, პროფესიული მასწავლებლების მიერ კვალიფიკაციის ამაღლებას (ტრენინგის/სტაჟირების, განათლების შემდგომი საფეხურის გავლა და სხვა.)
15. კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკური მონაცემები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულური პროგრამის განხორციელების შეფასებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელის მიერ, შეფასება ეძლევა თუ რამდენი პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა პროგრამაზე, რამდენმა დაამთავრა პროგრამა, რამდენ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი და რა მიზეზით, რამდენ სტუდენტს შეუწყდა სტატუსი და რამდენმა ისარგებლა მობილობით და რა მიზეზით. რამდენი კურსდამთავრებული დასაქმდა პროგრამის ათვისების გავლის შედეგად მინიჭებული კვალიფიკაციის მიხედვით ან რამდენმა სტუდენტმა გააგრძელა სწავლა შემდგომ საფეხურზე;
16. საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, საგანმანათლებლო პროფესიული, მოდულური პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების

საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს ადმინისტრაციულ საბჭოს;

17. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას გამოყენებული ინფორმაცია მოპოვებული უნდა იყოს კანონიერი გზით.
18. წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შედის საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეას“ ადმინისტრაციული საბჭოს განხილვისა და დირექტორის ბრძანების საფუძველზე.